

## ნინო ცუცქერიძე

### კავკასიის ბიზნესის სკოლა

#### ზემო ავსტრიის გამოყენებითი მეცნიერებათა უნივერსიტეტისა

ზემო ავსტრიის გამოყენებითი მეცნიერებათა უნივერსიტეტისა და კავკასიის უნივერსიტეტის ბიზნესის ადმინისტრირების ორმაგი ხარისხის საბაკალავრო პროგრამის სტუდენტი.

არ იქნება მართალი, თუ გეტყვით რომ გადაწყვეტილება, მონაწილეობა მიმელო ორმაგი ხარისხის გაცვლით პროგრამაში, მოულოდნელი და სპონტანური იყო. პირველად პროგრამის შესახებ კავკასიის უნივერსიტეტის მიერ აბიტურიენტებისთვის გამართულ პრეზენტაციაზე გავიგე და კავკასიის უნივერსიტეტში ჩაბარების ერთ-ერთი მთავარი მიზეზიც ეს პროგრამა გახდა. ახლა კი, როცა უკვე მიზანს მივალწიე და ჩემი ავსტრიული გამოცდილება ნელ-ნელა დასასრულს უახლოვდება, შემიძლია თამამად ვთქვა, რომ პროგრამამ ყველა მოლოდინი გაამართლა.

პროგრამისთვის მზადება თავიდანვე საინტერესო იყო. ჩარიცხვის შემდეგ საცხოვრებლის ძიების პროცესშიც ძალიან გამიმართლა და შემთხვევით აღმოვაჩინე, რომ ზემო ავსტრიის უნივერსიტეტიდან გაცვლითი პროგრამით კავკასიის უნივერსიტეტში ჩამოდიოდა სტუდენტი. ერთმანეთი კარგად გავიცანით და გადავწყვიტეთ პროგრამის განმავლობაში ჩვენი ოთახები გავვეცვალა. ახლა სარა თბილისში ჩემს ოჯახთან ერთად ცხოვრობს და ძალიან მოსწონს როგორც საქართველო, ასევე კავკასიის უნივერსიტეტი და საუნივერსიტეტო გარემო.

რაც შეეხება უშუალოდ პროგრამას, ზემო ავსტრიის გამოყენებითი მეცნიერებების უნივერსიტეტი ულამაზეს პატარა ქალაქ შტაიერში მდებარეობს და მთლიანად კონცენტრირებულია გლობალური გაყიდვებისა და B2B მარკეტინგის სფეროებზე. აღსანიშნავია, რომ სწავლა სრულიად დაფინანსებულია. გამომდინარე იქიდან, რომ FH00 გამოყენებითი მეცნიერებების უნივერსიტეტი, სასწავლო პროგრამა მთლიანად ორიენტირებულია მიღებული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენებაზე. ორმაგი ხარისხის სტუდენტებს შესაძლებლობა გვექონდა მონაწილეობა მიგველო უნივერსიტეტის მიერ ორგანიზებულ ყოველწლიურ პროექტში INNOCAMP 36. პროექტში მონაწილე გუნდებმა მივიღეთ რეალური დავალებები ავსტრიის წამყვანი კომპანიებისგან. დავალებების გადაწყვეტაზე კი მათ წარმომადგენლებთან ერთად გუნდურად ვმუშაობთ მთელი სემესტრის განმავლობაში, რაც ნამდვილად არაჩვეულებრივი გამოცდილებაა ყველა სტუდენტისთვის. კიდევ ერთი ფაქტორი, რომელიც პროგრამას ღირებულს ხდის არის ის, რომ უნივერსიტეტი გეხმარება ავსტრიიდან საქართველოში დაბრუნების შემდეგ დასაქმდე მარკეტინგისა და გაყიდვების კუთხით. რაც ყველაზე მთავარია, სპეციალურად ორმაგი ხარისხის სტუდენტებისთვის შედგენილი პროგრამის წყალობით მაქვს შესაძლებლობა კავკასიის უნივერსიტეტის პარალელურად მივიღო ზემო ავსტრიის გამოყენებითი მეცნიერებების უნივერსიტეტის ბაკალავრის ხარისხი.

თუმცა ჩემთვის ყველაზე ფასეული მაინც ის ახალი ურთიერთობებია, რომელიც ავსტრიაში ყოფნის პერიოდში დავამყარე. ამ ეტაპზე უნივერსიტეტში ასამდე საერთაშორისო სტუდენტი ვსწავლობთ ოცდახუთზე მეტი ქვეყნიდან.

დამოუკიდებელი ცხოვრება, განსხვავებულ კულტურებთან ურთიერთობა და მოგზაურობა პიროვნულად ძალიან გზრდის, გაძლიერებს და ამავდროულად ძალიან ბევრს გასწავლის საკუთარი იდენტობის შესახებ.

ასე რომ, მინდა უცხოეთში სწავლით დაინტერესებულ ყველა სტუდენტს გულწრფელად ვურჩიო, რომ ავსტრიაში ორმაგი ხარისხის პროგრამაში მონაწილეობის მიღება ერთ-ერთი საუკეთესო გადაწყვეტილება იქნება მათ ცხოვრებაში.“